21.12.2023წ.

განმარტებითი ბარათი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

I. წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში ზუსტდება შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები. ცვლილება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N 116 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თნხის დაზუსტებით და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით:

II. ზუსტდება შემოსულობები და ხდება 36 531 509 ლარი:

1. ზუსტდება გრანტები და ხდება 14 951 603 ლარი.

III. მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილება განისაზღვრება - 4 730 522 ლარის ოდენობით.

IV. ზუსტდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები და ხდება 41 262 032 ლარი. მათ შორის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება განისაზღვრება 18 957 149 ლარით.
2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება განისაზღვრება 2 622 605 ლარით.
3. განათლების დაფინანსება განისაზღვროს 4 863 877 ლარით.
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღრება 2 151 972 ლარით.
5. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განისაზღვრება 6 618 261 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით, ბიუჯეტის გეგმაში შესატანი, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების/ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში.

V. შემოთავაზებული ცვლილებების პროექტით ცვლილებები უნდა შევიდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

VI. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის დამტკიცების ოპტიმალურ ვადად მიჩნეულია 2023 წლის დეკემბრის თვის მესამე დეკადა.

VII. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს წარადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი და საფინანსო სამსახურის უფროსი.

საფინანსო სამსახურის უფროსი: /გიორგი მანგოშვილი/

დანართი

N	ნორმატიული აქტი	დასახელება	მთლიანი ღირებულება	სახელმწიფო ბიუჯეტი	ადგილებრივი ბიუჯეტი
1	N2475	სოფ. ლელიანისა (შიდა პლანი) და სოფ. ბებურიანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	449 152	359 321	89 831
2	N2475	სოფ. ჰერეთისკარში შიდა გზის მოწყობა	631 999	600 399	31 600
3	N2475	სოფ. აფენის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალფუნქციური დასასვენებელი სკვერის მოწყობა	150 500	142 975	7 525
4	N116	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	5 217 261	5 217 261	